



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 17
22/08/2017

17-03-4-201708221151



დადგენილება №17
21 აგვისტო 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებებისა დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში, (www.matsne.gov.ge, 23/12/2016, 190020020.35.171.016129) კერძოდ:

1. გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავლები:

შემოსულობა არაფინანსური აქტივებიდან - გაიზარდოს 300,0 ათ. ლარით, მ.შ:

- შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან – 65,3 ათ. ლარით;
- შემოსულობა არამწარმოებლური აქტივების გაყიდვიდან - 234,7 ათ. ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს ბიუჯეტის ხარჯები:

- ა) **03 00 პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - გაიზარდოს - 255,0 ათ. ლარით, მ.შ:**
 - **პროგრამული კოდი 03 01** - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 76,2 ათ.ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა);
 - **პროგრამული კოდი 03 02 02** - ბინათმშენებლობა - 54,1 ათ. ლარით (სხვა ხარჯების მუხლი).
 - **პროგრამული კოდი 03 02 04** - კეთილმოწყობის სამუშაოები - 124,7 ათ. ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა).

ბ) 06 00 პრიორიტეტი - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - გაიზარდოს - 45,0 ათ. ლარით, მ.შ:

- **პროგრამული კოდი 06 02 04 01-** შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა - 5,0 ათ. ლარით (სოციალური უზრუნველყოფა);
- **პროგრამული კოდი 06 02 04 05-** „C” ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება - 4,0 ათ. ლარით (სოციალური უზრუნველყოფა);
- **პროგრამული კოდი 06 02 15 02** -მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა- 9,5 ათ. ლარით (სოციალური უზრუნველყოფა);
- **პროგრამული კოდი 06 02 15 06-** ვეტერანთა დახმარების პროგრამა - 9,5 ათ. ლარით (სხვა ხარჯები);
- **პროგრამული კოდი 06 02 15 09-**უსახლკაროთა დარჩენილი ოჯახების დახმარება ბინის ქირით - 5,0 ათ. ლარით (სხვა ხარჯები);
- **პროგრამული კოდი 06 02 15 10** - ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება - 12,0 ათ. ლარით (სოციალური უზრუნველყოფა).

2. ცვლილება განხორციელდეს შემდეგ პროგრამულ კოდებს შორის, კერძოდ:


ა) **პროგრამული კოდი 03 01** - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - (არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი) შემცირდეს - 26.5 ათ.ლარით. აღნიშნული ეკონომია წარმოშობილია ტენდერების შედეგად.

ბ) **პროგრამული კოდი 03 02 03** - კომუნალური მომსახურების ცენტრი - (სუბსიდია) გაიზარდოს - 26,5 ათ. ლარით.

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა